სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

აპრილი 2019

2019 წლის აპრილში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **123 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **215 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა აპრილში **70 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აპრილში **484 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 525 ლარი შეადგინა, აჭარაში - 473 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 368 ლარი, ხოლო კახეთში - 367 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის აპრილში, 2019 წლის მარტთან შედარებით, 2.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.5%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5%-ით.

2019 წლის აპრილში, 2018 წლის აპრილთან შედარებით, 1.8%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.9%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.9%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 აპრ/ 2019 მარ	2019 აპრ/ 2018 აპრ	2019 აპრ/ 2019 მარ	2019 აპრ/ 2018 აპრ	2019 აპრ/ 2019 მარ	2019 აპრ/ 2018 აპრ
შიდა ქართლი	7.6%	-6.2%			7.6%	-6.2%
აჭარა	6.9%	24.3%	4.6%	29.9%	10.7%	16.1%
კახეთი	5.0%	2.4%	-0.3%	-5.6%	6.6%	5.0%
იმერეთი	3.8%	4.8%	9.4%	-0.8%	0.0%	9.0%
თბილისი	2.3%	-14.5%	1.4%	-17.0%	5.5%	-4.2%
გურია	1.5%	-11.4%	-2.3%	-17.9%	10.4%	0.7%
რაჭა	-1.4%	-12.8%			-1.4%	-12.8%
ქვემო ქართლი	-2.1%	-22.3%	-1.3%	-1.7%	-2.6%	-43.3%
მცხეთა-მთიანეთი	-3.5%	5.5%	-12.2%	3.4%	6.0%	7.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-4.2%	0.2%	-12.8%	-11.6%	0.1%	7.1%
სამცხე-ჯავახეთი	-10.4%	-6.2%	-6.1%	-5.8%	-14.1%	-6.6%
სულ ფასების % ცვლილება	2.2%	-1.8%	0.5%	-2.9%	5.0%	1.9%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის აპრილში, 2019 წლის მარტის ფასებთან შედარებით და 2018 წლის აპრილის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.